ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 599756755

N 261
25/06/2018

261-07-3-201806251208

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით ფრაქცია „ქართული ოცნება–მწვანეების“ სხდომის ოქმს, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 22 ივნისს.

დანართი: სხდომის ოქმი № 4-4 (ოთხი) ფურცელი.

პატივისცემით,

ზაზა წულაძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22 ივნისი **2018** წელი
15:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	14 50	
2	ოთარ პატიეშვილი	14 50	
3	ემზარ თევდორაძე	14 50	
4			

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება–მწვანეების“
სხდომის ოქმი №4

ქ.ლანჩხუთი 22.06.2018 წელი
15:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება- მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე. **ფრაქციის წევრები:** ემზარ თევდორაძე, ოთარ პატიეშვილი.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ზ. წულაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ზ. წულაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ზ. წულაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ზ. წულაძე/

5. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ფრაქციის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ ისაუბრა ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". მან აღნიშნა რომ, #952 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით გამოეყო 2558849 ლარი, ამ თანხიდან ფინანსდება ჯიხეთის დედათა მონასტერთან მისასვლელი გზა 942278 ლარით, ასევე აცანის, აკეთის, ჩიბათის, ნინოშვილის, ნიგვზიანის, მამათის, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში რკინა ბეტონის სანიაღვრე არხების, რკინა ბეტონისა და ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 768297 ლარი. ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შენობის რეაბილიტაცია 848274 ლარი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს ასევე #957 განკარგულებით სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან გამოეყო 180000 ლარი, რაც მიიმართება სტიქიის რეაბილიტაციის შედეგად დაზიანებული სახლების შესაკეთებლად.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი" -ს წერილის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა შეუმცირდეს სუბსიდირების დაფინანსება 17800 ლარით და გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 17800 ლარით.

ფრაქციის წევრებმა 2018 წლის ბიუჯეტის დადგენილებაში ცვლილების შეტანაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:
მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: ფრაქციის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ ისაუბრა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი"-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხზე. კერძოდ, საუბარია ჯურუყვეთის, მამათის, ნიგვზიანის, ნინოშვილის, ჩოჩხათის, აცანის ადმინისტრაციული ერთეულში მდებარე საბავშვო ბაღების ა(ა)იპ ,,სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე. ვინაიდან ა(ა)იპ აღნიშნული შენობა-ნაგებობები ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: ფრაქციის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ ისაუბრა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის საკითხზე. რაც მოიცავს, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისთვის“ სოფელ სუფსაში მდებარე კულტურის სახლის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემას.

თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: ფრაქციის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ ისაუბრა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა ამხანაგობა ,,2016“-ის წევრმა თამარ ჯიჯიეშვილმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სოფელ აკეთში მდებარე 54 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე მიმაგრებული 34.2 კვ.მ შენობა-ნაგებობის სარგებლობის უფლების გადაცემასთან დაკავშირებით. განმცხადებელმა ასევე თანდართულ დოკუმენტად წარმოადგინა გაფორმებული ხელშეკრულება ამხანაგობის ერთ-ერთ წევრ გოჩა ღლონტსა და პროექტ ,,აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებს შორის, რომლითაც ამხანაგობას მიღებული აქვს თანადაფინანსება 9900 ლარი. აღნიშნული ქონების გადაცემა კანონის თანახმად ხდება არაუმეტეს ერთი წლის ვადით სარგებლობის უფლებით, სადაც ამხანაგობა აპირებს პურის საცხობის გახსნას. ფრაქციის წევრები მიესალმება მუნიციპალიტეტში მცირე ბიზნესის განვითარებას და მხარს უჭერს ზემო აღნიშნული ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემას ამხანაგობა ,,2016“ ისთვის.

თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს:

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების “
თავმჯდომარე: ზაზა წულაძე